

გაზეთი ბეჭდის, „ვერსი“ ერთი

ვერსი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№121 (1016) 8 - 9 დეკემბერი, 2014 წელი

ლიტო ბელოზანე

კარტოფილები



ის, რას ცდილობს წინა კვირაში

რაგომ იმგზავრა ბიძინა ივანიშვილმა მატარებლით



დღეს კოვა გუნცაძის „თავი დაგორდება“?

გვ. 3

ქანი კალაქე

„ყველა პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს სტუდენტებთან პერმანენტული კომუნიკაცია“

რაზე ესაუბრა ენერჯეტიკის მინისტრი სტუდენტებს

გვ. 4



კიგო აპრიკელაგა ხელოვნურად შექმნეს?!

სვანდადური სიმართლე 21-ე საუკუნის ფირზე

გვ. 9

ვაჭივრება სინის აღმინისტრაცია აიძულეს, სამლოცველო გაეხსნა



კასტიმის დღიური გვ. 8

„ანგარიშგასანავიან, მებრამ ეს არ ნიშნავს, რომ ივანიშვილი შეუმსღარია!“

ღავით ბურაბიშვიდი ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ადიანსს პრინციპულად გამორიცხავს

გვ. 4



საღ არის, რას აკეთებს და როგორ აფანებს ნიკო ლაჩიავილი პოლიტიკურ პროცესებს

„ვერსიის“ ექსკლუზივი — ყოფილი მერი და სახელმწიფო მინისტრი 6-ნდიან დუმიდს არღვევს

გვ. 6-7

რატომ იმგზავრა ბიძინა ივანიშვილმა მატარებლით დღეს კოკა გუნცაძის „თავი დაგორდება“?

გიორგი ბიორბაძე

6 დეკემბერს, შაბათს, ანუ გამოსასვლელ დღეს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ამჟამად კი არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ ხელმძღვანელმა, ბიძინა ივანიშვილმა მატარებლით იმგზავრა — მეუღლესთან ერთად ურეკიდან თბილისში ჩამოვიდა. ახლა, ვინმემ შეიძლება, იკითხოს, მილიარდერს ისეთი რა გაუჭირდა, რომ ლამის 5 საათი არცთუ კომფორტულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაატარაო. არაფერიც არ გაუჭირდა, ბატონებო. უბრალოდ, ხომ იცით, კაცია და გუნება, თან ასეთი მოულოდნელობები, როგორც „ვერსიას“ ის ადამიანები უხსნიან, ვისაც ყოფილ პრემიერთან მუშაობის გამოცდილება აქვთ, ივანიშვილის სტილია.

„ერთხელ, როცა პოლიტიკაში არ იყო და ხალხი სახეზეც არ სცნობდა, მოულოდნელად, შეკვეთილში მივიდა, სადაც საკონცერტო დარბაზი შენდებოდა. მუშებმა, ცხადია, ვერც „მოტვირეს“, ვინ იყო და შემწვარი სიმინდი შესთავაზეს. ცხადია, „პარაბაზმა“ იცნო, მაგრამ ხმა არ ამოუღია... მოკლედ, როცა უნდა, გაიგოს, ხალხი რეალურად რას ფიქრობს, ან საქმე როგორ კეთდება, ბატონი ბიძინა ასეთ „ტრიუკებს“ აკეთებს ხოლმე“, — ეუბნება „ვერსიას“ ექსპრემიერთან დაახლოებული პიროვნება.

ერთი სიტყვით, ივანიშვილმა მატარებლით იმგზავრა... ამ მგზავრობას კი წინ საინტერესო ამბები უძღვოდა. იმაზე საინტერესო რაღა უნდა იყოს, ლამის მთელი რკინიგზა რომ გაიფიცა და რკინიგზელებმა ისიც თქვეს, ვიღაც პატარა ჩინოვნიკები და მათი დამქაშები გვაშინებენ, პროტესტს ნუ გამოთქვამთ, თორემ დედას გიტყვიანო.

ახლა, ისიც ხომ ნათელია, რომ რკინიგზა სახელმწიფოში სახელმწიფოა და ყველაზე სარფიანი ტენდერებიც სწორედ ამ „მინისახელმწიფოში“ იმართება. ჰოდა, როცა „მინისახელმწიფოს“ მოქალაქეები ანუ რკინიგზელები შფოთავენ, ესე იგი, საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკა ასეთია: ბიძინა ივანიშვილმა რკინიგზის ამბები „დასმოტრა“. ტელევიზიით მხოლოდ ის კადრები ვნახეთ, თბილისში რომ ჩამოვიდა, მაგრამ ხომ არ ვიცით, მაგალითად, ურეკის სადგურში ვის შეხვდა, მოსახლეობამ რა უთხრა, ან მგზავრობისას ვინ რა ინფორმაცია მიანოდა?



„რამდენადაც ბიძინას ვიცნობ და მისი სვლების ამოხსნაც, ასე თუ ისე, მეხერხება, თამამად გეუბნებით, რომ დღეს, ორშაბათს, 8 დეკემბერს კოკა გუნცაძის თავი დაგორდება“, — ეუბნება „ვერსიას“ ინფორმირებული პიროვნება. ვნახოთ, რა მოხდება, თუმცა ფაქტია: ქვეყანაში ყველაზე

პრობლემური გზები და ტრანსპორტი, ამ შემთხვევაში რკინიგზაა. გზებს, ასე თუ ისე, მიეხება — ინფრასტრუქტურის სამინისტროში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ახლა კი, ლოგიკურად, რკინიგზის ჯერია. აბა, სხვა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ იმგზავრა ურეკიდან თბილისამდე ბიძინა ივანიშვილმა მატარებლით, უბრალოდ, არ არსებობს...

ქალაქი

ვინ შესთავაზა ნოდარ ჯავახიშვილს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეობა

რუსუდან შელია
557-100-768

„ქართუ ბანკის“ პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ, როგორც თავად მიანიშნებს, ტენდერების გაკონტროლების მიზნით დანიშნეს. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მალე თანამდებობას ინფრასტრუქტურის მინისტრიც დატოვებს. იმასაც ამბობენ, რომ ყოფილი პრემიერი სახელმწიფო უწყებებს საკუთარი კადრებით აძლიერებს... როდის შეხვდა ბოლოს ბიძინა ივანიშვილს და რა პრინციპით დანიშნეს ინფრასტრუქტურის სამინისტროში ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი? — „ვერსია“ ნოდარ ჯავახიშვილს ესაუბრა.

— საჯარო სამსახურში პრემიერ-მინისტრის თხოვნით დაგბრუნდი — ირაკლი ლარიბაშვილმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ შეხვდი, უწყების მართვაში დახმარება მთხოვა. მოგეხსენებათ, ინფრასტრუქტურის სამინისტროს დიდი ბიუჯეტი აქვს, რომელსაც ეფექტური მართვა სჭირდება. სიმართლე გითხრაო, როცა აღნიშნული თანამდებობა შემომთავაზეს, დიდად არ გამხარებია. ბოლო წლები „ქართუ ბანკს“ ვმართავდი და საჯარო სამსახურზე გადაბრუნება, ცოტა არ იყოს, მიჭირს, მაგრამ ირაკლი ლარიბაშვილს დიდ პატივს ვცემ და პასუხისმგებლობაც სწორედ ამის გამო ვიტვიტო.

— ანუ სამინისტროში კონცეფციით კი არა, პრემიერის ნდობით აღჭურვილი მიდიხარ?

— ასე გამოდის. ყოველ შემთხვევაში, კონცეფცია ჯერ-ჯერობით შემუშავებული არ მაქვს და არც ის ვიცი, კონკრეტულად რა მიმართულებით ვიმუშაო, მაგრამ ეტაპობრივად ყველაფერში გავერკვევი. განსაკუთრებით, ტენდერების საკითხი მაინტერესებს.

— რატომ, ეჭვობ, მინისტრი შავლიაშვილი კორუფციულ საქმიანობაში ჩართული?

— ამ ეჭვს წინასწარ ვერ დავადასტურებ, მაგრამ პრესას ხშირად ვეცნობი და ვიცი, სამინისტროში ჩატარებულ ტენდერებზე გარკვეული კითხვები არსებობს და საზოგადოე-

ეროვნული და „ქართუ“ ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ლარიბაშვილი-ივანიშვილის დაპირისპირებას უარყოფს

ბასაც, რბილად რომ ვთქვა, ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. მუშაობას ოფიციალურად 9 დეკემბერს შევედგები და დეტალურად გავარკვევ. ამაზე წინასწარ საუბარი, არ მგონია, მიზანშეწონილი იყოს... ამ ეტაპზე, ისიც არ ვიცი, რეორგანიზაციის აუცილებლობა დადგება თუ არა... თანამშრომლებსაც უნდა გავეცნო... ისე, პირობას ვდებ, ინფრასტრუქტურის სამინისტროში ბიუჯეტი და ხარჯები აბსოლუტურად გამჭვირვალე იქნება. ნებისმიერი ტენდერიც ასევე გამჭვირვალედ ჩატარდება.

— არსებობს ვერსია, რომ ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ლარიბაშვილს საკუთარი გუნდით ანაცვლებს და შავლიაშვილის „მეთვალყურედ“ ამიტომაც დანიშნეთ.

— ამ აზრს არ ვეთანხმები. არ მგონია, ვინმე სხვადასხვა ფლანგზე იდგეს. როგორც გითხარით, ამ თანამდებობას ირაკლი ლარიბაშვილის თხოვნით დავთანხმდი.

— ბიძინა ივანიშვილს ბოლოს როდის შეხვდით?

— დიდი ხნის წინ, თუმცა სატელეფონო საუბრები ხშირად მქონდა, ძირითადად, „ქართუ ბანკის“ საქმიანობაზე. მინისტრის მოადგილედ დანიშვნაზე კი, მასთან არ მისაუბრია.

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ყოფილმა პრემიერმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატად დაგასახელა. ორი წლის განმავლობაში გიორგი ქადაგიძის შეცვლა რატომ ვერ მოხერხდა?

— 2012 წლის შემდეგ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ჩემს დანიშვნას ხელს მიხეილ სააკაშვილი უშლიდა — მოგეხსენებათ, გიორგი ქადაგიძის თანამდებობიდან გაშვება მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. მართალია, 2013 წელს პრეზიდენტი შეიცვალა, მაგრამ როგორც ჩანს, არც გიორგი მარგველაშვილისთვის აღმოჩნდა მისაღები. ბიძინა ივანიშვილის წარდგენის შემდეგ, ამ საკითხზე პირადად კითხვა არასოდეს დამისვამს. ვინც მიცნობს, კარგად იცის, თანამდებობას ჩაბლაუჭებული არ ვარ. ამ თემის განხილვა რომ დამენყო, შესაძ-



ლოა, ვინმეს ეფიქრა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტობაზე ვოცნებობ. სიმართლე გითხრაო, ამ საკითხზე აქტიურობა გუნდშიც ვერ შევამჩნიე.

— ბატონო ნოდარ, ლარის გაუფასურების პირობებში, არ ფიქრობთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად, ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს?

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმის გამო უნდა დადგეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში, ლარის გაუფასურებაზე განცხადების გაკეთებაც არ იკადრა და საზოგადოებაში გაჩენილ პანიკას ჩუმად, შორიდან აკვირდებოდა.

რაც შეეხება ეკონომიკურ გუნდს, ლარის გაუფასურებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება მასაც მოუწევს, მაგრამ ერთი ცხადია: ქვეყანა, სადაც ეკონომიკურ გუნდს ეროვნულ ბანკთან მჭიდრო კონტაქტი არ აქვს, ვერ გადარჩება.

— ესე იგი, არსებული კადრებით საქართველოს მომავალი არ აქვს?

— ლარის გაუფასურების შეჩერება შესაძლებელია, ეს ბერკეტი, პირველ რიგში, ეროვნულ ბანკს აქვს. რამდენიმე სხვა გზაც არსებობს: ან უნდა გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მასა, ან მიმოქცევაში ფულადი მასა შემცირდეს. ეკონომიკურ გუნდსა და ეროვნულ ბანკს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქვს შესაძლებლობა, მიმოქცევაში ლარის მასა შეზღუდოს. დარწმუნებული ვარ, ორშაბათიდან ლარის გაუფასურება შემცირდება. შესაძლოა, ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდეს და არც გაუმჯობესდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზრდის პროცესი შეჩერდება. ისე, საზოგადოების ადეკვატურმა რეაქციამ ხელისუფლებაში ბევრი დააფიქრა...



კახი კალაქი: „ყველა პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს სტუდენტებთან პერსონალური კომუნიკაცია“

რაზე ესაუბრა ენერჯეტიკის მინისტრი სტუდენტებს

„პირველ რიგში, შევამცირეთ ტარიფები, ამით მნიშვნელოვანი შედეგით ექნება საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იყო, მაგრამ მოვახერხეთ. თუკი განვხორციელებთ ყველა იმ დიდ პროექტს, რაც ჩაფიქრებული გვაქვს, მოვახერხებთ ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას. პირველ რიგში, ხუდონის პროექტია. ამ პროექტის ამოქმედებით, გაორმაგდება ელექტროენერჯია და ის შეადგენს ქვეყნის ენერჯის 84 პროცენტს“.



მინისტრმა, ასევე, აღნიშნა რომ საქართველოს განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში უჭირს, თუმცა ამ პრობლემის მოგვარებაც შეიძლება: „მართალია, მეზობელი ქვეყნებიდან ვიღებთ ენერჯის, მაგრამ გვაქვს რესურსი, ჩვენც ვანარმოთ. ეკონომიკა იზრდება და ეს ნიშნავს, რომ იზრდება მოხმარება. ვინც ახალი თბოსადგურების მშენებლობას და გვაქვს საკმარისი სარეზერვო სიმძლავრეები, რომ ავამოქმედოთ ახალი დანადგარები“.

კალაქემ აღნიშნა, რომ საქართველოში საფუძველი ეყრება სხვა სახის ენერჯების ამოქმედებას, როგორცაა მზისა და ქარის. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამუშაოები ქართულში.

კალაქის განცხადებით, როგორც წინა წლებში, ახლაც გათიშვებს აქვს ადგილი, რაც გამომწვეულია ტექნიკური ან მეტეოროლოგიური პირობებით. არც ადამიანური ფაქტორია გამორიცხული, თუმცა სისტემა მუდმივი კონტროლის ქვეშაა:

„შვიდი ახალი ჰესი ავამოქმედეთ. შარშან გვექონდა ძალიან მძიმე ზამთარი და იყო პრობლემები. წელს ვეცდებით, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია — 300 მდინარეა ენერჯის მომცემი და ეს სიმდიდრე რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ“.

კახი კალაქემ გააუფლრა ახალი იდეა, რაც სამინისტროსთან ერთად, ახალი ფონდის შექმნას გულისხმობს;

„მინდა, ახალი იდეა შემოგთავაზოთ: ძალიან გამიმართლა, რომ ამ სექტორში მოვხვდი. ჩემს თვალწინ უამრავი ადამიანი თავდაუზოგავად შრომობს. ამას ჯეროვანი დაფასება სჭირდება. ეს გადანყვებილება იმისთვის მივიღეთ, თქვენ უფრო მოტივირებული იყოთ. მზად ვართ, მივიღოთ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტები. ფონდს ეყოლება ბორდი, რომე-

ლიც მიიღებს თქვენს ინიციატივებს. იდეას თქვენთან ერთად, განვიხილავთ და თუ საინტერესო იქნება, მზად ვართ, დავაფინანსოთ. იფიქრეთ, იმსჯელეთ... მოვიფიქროთ ამ ფონდის სახელწოდება და დაიწყეთ ურთიერთობა“.

ახალ იდეას სტუდენტთა მხრიდან დადებითი გამოხმაურება მოყვა. ისინი აცხადებენ, რომ ეს საკუთარი თავის უკეთეს გამოსავლენად, სტიმულია.

ლიკა ჯანყარაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი: „მსგავსი ტიპის შეხვედრები ძალიან საინტერესოა, გვიჩვენებს, აქტიურად ვიყოთ ჩართულნი ქვეყნის საქმიანობაში. კახი კალაქის ინიციატივა მოგვეწონა, რადგან შევძლებთ, ჩვენი იდეები განვხორციელოთ“.

მიხეილ პირცხალია, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი: „მინისტრის იდეას მივესალმები. ახალი ფონდის დაარსება ყველაზე მნიშვნელოვანია და ძალიან გამიხარდა“.

საბა ცხადაძე, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი: „პირველ რიგში, ისაა მისასალმებელი, რომ შეგვხვდა და ჩვენს კითხვებს უპასუხა — ჩავაბარა სამინისტროს მუშაობის ანგარიში, გავგარკვევა დეტალებში... ძალიან მაგარი იდეა აქვს კახი კალაქეს და ვაპირებ, აქტიურად ვითანამშრომლო ამ ფონდთან. ეს ხომ იმისი წინაპირობაა, რომ მომავალში დასაქმებული ვიქნები“.

ფონდი იანვრიდან დაიწყებს მუშაობას და სტუდენტებს სწორედ ამ დროიდან შეეძლება თავიანთი პროექტები წარადგინონ.

ბიორგი იაშვილი

შეხვედრა სტუდენტებთან და სამინისტროს ახალი ინიციატივები — ენერჯეტიკის მინისტრმა სტუდენტებს სამინისტროს ორწლიანი მუშაობის ანგარიში წარუდგინა. კახი კალაქი სტუდენტებს ენერჯეტიკის სფეროში არსებულ პრობლემებზე ესაუბრა. აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ხედვა და მათი ჩართულობა ამა თუ იმ პროცესში.

„მინდა, თითოეულ თქვენგანს მადლობა გითხრათ, რომ აქ მოხვედით. აუცილებელია, ყველა პოლიტიკოსს ჰქონდეს თქვენთან პერსონალური კომუნიკაცია, რადგან ის თაობა ხართ, ვისი აზრით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე. ჩვენი სფერო გამოწვევების წინაშეა. არის პრობლემები. მაინტერესებს თქვენი აზრი და განწყობა. პირადად ჩემი ინტერესია თქვენთან ურთიერთობა და საუბარი“.

კახი კალაქემ ამბობს, რომ სამინისტროს მუშაობა ერთი ნუთითაც არ შეუწყვეტია და ყველანაირად ცდილობს იმ ძირითადი საკითხების მოგვარებას, რაც ქართულ საზოგადოებას ყველაზე მეტად აწუხებს. ესაა ტარიფები, ახალი სადგურების მშენებლობა და ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის საკითხი:

უმრავლესობის ტრიზუნა

„ანგარიშგასანევი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ივანიშვილი შეუმსდარია!“

ნილო კომახიძე
599-95-33-16

ლარის გაუფასურებამ ბოლო დღეების სხვა მოვლენები გადაფარა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ცხოვრება გრძელდება. სამთავრობო ცვლილებები, ე.წ. მოსმენების კანონის წინააღმდეგ დაანონსებული აქციები, მსოფლიო პრესის უარყოფითი შეფასება, დაძაბულობა კოალიციაში და ქვეყნის განვითარების პროსამთავრობო პარტიების განსხვავებული ხედვა — ამ თემებზე „ვერსიას“ რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი, საკრებულოს წევრი დავით ზურაბიშვილი ესაუბრა.

დავით ზურაბიშვილი ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ადიანსს პრინციპულად გამორიცხავს

რომ რეფორმები გასატარებელი და დასაჩქარებელია, ამის შესახებ ორივე დღის წინ ჩვენმა პარტიამ თავდაცვლიანად განაცხადა. საერთოდ, როცა საერთაშორისო პრესაში საქართველოზე კრიტიკული სტატიები ქვეყნდება, ყოველთვის ყურადღებით უნდა შევისწავლოთ და შესაბამისი დასკვნებით გამოვიტანოთ. რეფორმების ტემპი რომ დასაჩქარებელი და სისტემა სტრუქტურულად შესაცვლელია, ამაზე რესპუბლიკელებმა კონფერენციაც ჩავატარეთ. აუცილებელი და სასწრაფოა მასშტაბური რეფორმები შს სამინისტროსა და პროკურატურაში. პარლამენტშიც კონკრეტული გეგმებითა და ინიციატივებით გამოსვლას ვაპირებთ. ამ ორ წელში, ყველა არჩევნები გავიარეთ და დროა, ბევრი რამ სტრუქტურის დონეზე შეიცვალოს. სფეროები, სადაც რეფორმები, მეტ-ნაკლებად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობა, თუმცა პრობლემები იქაცაა.

აზრი საყოველთაოდ ცნობილია. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დანონსებულ აქციებს მხარს დაუჭერთ და შეუერთდებით?

— ყველამ იცის, რომ მიღებულ კანონს არ ვეთანხმებით — ტექნიკური აღჭურვილობა ანუ ე.წ. გასაღები შს-ში არ უნდა იყოს, რაც ცენტრალურ საკითხად რჩება, ყველაფერი დანარჩენი კი შეთანხმების საგანია. ე.წ. შავი ყუთი ან შს-ში უნდა იყოს, ან არა, სადაც ზღურბლზე ვერ დავედამთ, აქ უშუალოდ უნდა გადაწყვიტოს არ არსებობს. ეს კანონი უნდა შეიცვალოს... არასამთავრობოებს, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ, თუმცა მიტინგზე გავალ თუ არა, ეს მეორეხარისხოვანი მგონია.

— ნახევარი „ოცნება“ იმაზე ალაპარაკდა, სტატის შეკვეთის სუნი ადისო. თქვენი აზრით, სტატია ნაციონალებმა დაუკვეთეს?

— ასეთი შეფასება პრინციპულად არასწორია. პოლიტიკოსი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს! ეს პრობლემებისგან თავისარიდების მცდელობაა და სხვა არაფერი. როცა ხელისუფლებაში ხარ, მეორეხარისხოვანია, მსგავს სტატიებში ვინმე თანხას იხდის თუ არა. მოვლენებს უფრო სერიოზულად და თავგანთავად უნდა გამოეხმაურო და არ უნდა იხდებო, ნაციონალური მოძრაობა მსოფლიოს თავის ჭკუაზე ატრიალებსო. ასეთი დამოკიდებულება ჭკვიანური არაა და ყველა ხელისუფლებისთვის ნამგებანია, როცა პოლიტიკურ ოპოზიციას წარმოუდგენელ შესაძლებლობებს მიაწერს.

— ე.წ. მოსმენების კანონი კოალიციაში განხეთქილების ვაშლად იქცა — უმრავლესობის შიგნით დაძაბულობას არ გრძნობთ?

— კოალიცია დღესაც ალარაა ისეთი, როგორც თავიდან იყო. ბიძინა ივანიშვილი და თავისუფალი დემოკრატები უკვე გავიდნენ ბლოკიდან. ჩვენ კოალიციის ძირითადი პრინციპების ერთგულნი ვრჩებით. ჩვენი პარტიისთვის „ოცნებაში“ ყოფნა მიზანი კი არა, ინსტრუმენტი იმ დაპირებებისა და ამოცანების შესასრულებლად, რაც ამომრჩევლის წინაშე ერთად ვიკისრეთ.

— კოალიცია რესპუბლიკელებისთვის ხელისუფლებაში ყოფნის ინსტრუმენტიც ხომ არის? ყოველ შემთხვევაში, თქვენი მისამართით ყველაზე ხშირად სწორედ ეს ბრალდება ისმის.

— არ შეიძლება, ხელისუფლებაში ყოფნა თვითმიზანი იყოს. ვინც წარმოადგენს, მთელი ცხოვრება ხელისუფლებაში იქნება, ძალიან მწარე ბედი ელის.

დასასრული მე-5 გვერდზე





მანო პავლიაშვილი

...ექვსი წელია, აქტიურ პოლიტიკაში აღარაა. არადა, იყო დრო, როცა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს იკავებდა — დეპუტატიც იყო, თბილისის მერიც და სახელმწიფო მინისტრიც... მერე, გადახედულა კავშირის ხელმძღვანელობდა... სხვათა შორის, თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და კინომსახიობთა თეატრის აშენება, ასევე, აბანოთუბნისა და გადამწვარი რუსთაველის აღდგენა სწორედ მის სახელს უკავშირდება... მოკლედ, ვინ უნებოდა კანცელარიაში ინტრიგებს, რაზე უთხრა უარი შოთა კვიციანი და სად არის ნიკო ლეიპიშვილი, რომელიც მხოლოდ 2011 კი არა, წელსაც მოსახლეობამ თბილისის საუკეთესო მერად დაასახელა? — „ვერსია“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თბილისელის ექსკლუზიურად არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.

— ბატონო ნიკო, როგორ ხართ, რატომ აღარ აქტიურობთ? — კარგად ვარ, მაგრამ ჩემი აზრი, მგონი, არავის აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, მედიას უფრო სკანდალი და უბედურებები აწყობს, მე კი ვცდილობ, პრობლემებზე დინჯად ვილაპარაკო... — დღევანდელი მთავარ პრობლემად რას თვლით? — ქვეყნის განვითარებაზე ჩვენი საზოგადოებისა და, შესაბამისად, პოლიტიკური სპექტრის შეხედულებები, ჩემი აზრით, ზერელე და რეალობის არაადეკვატურია ანუ ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება ნაკლებად ხდება. აი, თუნდაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების კუთხით რა სტრატეგია გვაქვს? — ამ პრობლემის მიმართ ხალხის დამოკიდებულება აგრესიულია, რუსებს არ უნდა ველაპარაკოთ. კი ბატონო, არ დაველაპარაკოთ, მაგრამ ისე როგორ დაბრუნდება? სხვათა შორის, თავის დროზე, როცა სახელმწიფო მინისტრი გავხდი, დაფიქრე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტრატეგია შევისწავლე, თუ როგორ დაიბრუნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ ამ გზით ვერ წავიდით. — სახელმწიფო მინისტრი იყავით და, თუკი ეს სტრატეგია მოგეწონათ, რატომ არ გადმოაქართულეთ? — ომის მერე, 1996 წელს, პირველი ქართველი ვიცე-პრემიერიც სოხუმში ჩავიდი, მაგრამ მედიამ და პოლიტიკურმა სპექტრმა მოლაპარაკედ გამოამაცხადეს, როგორ გაბედა და ბლაფშა და არძინბას დაელაპარაკაო. — მოლაპარაკედ, იქნებ, იმიტომ შეგრაცხეს, რომ სოხუმური ვიზიტის მიზანი კარგად არ ახსენით? — ძალიან კარგად ავხსენი, მაგრამ მაშინდელ ე.წ. ლტოვილ მთავრობას ეს მოლაპარაკებები რაში აწყობდა?! იცით, კონტრად აღენაურმა რა გააკეთა? — მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ქვეყანა ნაართვა, საბჭოთა კავშირში რამდენჯერმე არაოფიციალურად ჩავიდა და სტალინთან შეხვედრასაც ეცადა, მაგრამ რახან სტალინმა არ მიიღო, მოლოტოვს შეხვდა. 1955 წელს კი, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა. 1972 წელს გერმანიის ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა... — ბატონო ნიკო, გერმანია საბჭოთა კავშირს მტრად თვლიდა, ჩვენ კი ახლა ვალიანტობთ, თორემ თავიდან არ ვამბობდით, რომ აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში რუსეთი გვეომებოდა... — როგორ არ ვალიანტობდით... შეიძლება, ჩემი სტრატეგია არასწორია, მაგრამ ვთვლი, რომ აფხაზეთის ხელისუფლებასთან აქტიური ურთიერთობა უნდა გვექონდეს... სხვათა შორის, მახსოვს, აფხაზეთის მაშინდელ ე.წ. პრემიერს, ბლაფშა პირდაპირ დაუწვევე და ვკითხე, სოხუმში ჩამოსვლა მინდა და წინააღმდეგი ხომ არ ხარ-მეთქი. კი ბატონო, ჩამოდი და კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის მინისტრებთან ერთად წავიდი. — ამ ვიზიტს რა შედეგი მოჰყვა? — ჯერ ერთი, ენერჯის მთავარ პულტში, ასე ვთქვათ, შევედი და, რაც მთავარია, აფხაზეთის მთელი სატელეფონო ტრაფიკი საქართველოზე გადიოდა. ამის შემდეგ, თბილისში

სად არის, რას აკეთებს და როგორ აფასებს ნიკო ლეიპიშვილი პოლიტიკურ პროცესებს

„ვერსიის“ ექსკლუზივი — ყოფილი მერი და სახელმწიფო მინისტრი 6-ნდიან დუმიდს არღვევს

არძინბა ჩამოვიდა და რალაც ურთიერთობა გაიბა. ცხინვალში, ჩიბროვთანაც ათჯერ მაინც ჩავედი და თბილისში ისიც ჩამოდიოდა ხოლმე. — ყველაფერი ეს მაშინდელ პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეთანხმებული იყო? — რა თქმა უნდა. ძალიან კარგი ანალიტიკური ჯგუფიც გვყავდა, რომელსაც გელა ჩარკვიანი ხელმძღვანელობდა. ეს ჯგუფი სტრატეგიაზე მუშაობდა და გარკვეულ რეკომენდაციას გვაძლევდა. სხვათა შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან იმას მივალნიეთ, რომ ცხინვალთან გორსა და თბილისის მიმართულებით ავტობუსები დაინიშნა. ვაჭრობაც დაიწყო... — ერგნეთის ბაზრობას გულისხმობთ? — არა... — აბა? — გვთხოვეს, თბილისში წყალ „ბაგიათას“ გაყიდვაში დავხმარებოდით და, რადგან იქ ლარმა მიმოქცევა დაიწყო, ბანკის პატარა ფილიალიც გაიხსნა, მაგრამ 2003 წლიდან ეს ურთიერთობები მყიდვე გახდა... სოხუმში პირველად რომ ჩავედი, მითხრეს, ბიზნესმენებს გამოვყოფთ და იქნებ, ერთობლივად თხვევად გაზი შემოვიტანოთო. მერე, დახმარება პურკომინატის პრეზიდენტის მიხედვით გვთხოვეს. ისიც შემოგვთავაზეს, ბენზინიც შემოიტანეთო. იცით, სტრატეგიულად რას ნიშნავს, როცა ვიცით, აფხაზებს რამდენი პური, ბენზინი თუ გაზი სჭირდებათ? — ომი ხელახლა რომ დანწყებულიყო, ყველაფერი ხომ ხელში გვეჭირებოდა. — ამას რუსეთი ხელს არ უშლიდა? — არა. პირიქით, პრიმაკოვი აქტიურად იყო ჩართული. — პრიმაკოვთან ურთიერთობა, ალბათ, „პლენანოვიდან“ გქონდათ, არა? — კი, დიდი ხანია, ვიცნობ... მერე, ისე მოხდა, რომ არძინბას შევხვდი და თბილისში ჩამოსვლა შევთავაზე, მაგრამ თავი შეიკავა, მაგრამ პრიმაკოვმა მაინც ჩამოვიყვანა... კონტრად აღენაურმა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა რომ აღადგინა, გენიალური სიტყვები თქვა: აქამდე ურთიერთობა საერთოდ არ გვექონდა, მაგრამ ახლა ცუდი გვექნება და ურთიერთობის არქონას ცუდი ურთიერთობა ჯობიაო. ბლაფშა და არძინბასთან შეხვედრებზე რამე მნიშვნელოვანი არ გადაწყდა, უბრალოდ, ერთობლივი კომისიები შეიქმნა, რაც წელანაც გითხარით, აფხაზეთის დევინილმა მთავრობამ ვერ აიტანა. — რატომ? — თვლიდა, რომ აფხაზეთთან აუცილებლად თვითონ უნდა ელაპარაკა. — მაშინ აფხაზეთის მთავრობას ცხონებული თამაზ ნადარეიშვილი მეთაურობდა, არა? — დიახ. მთავრობის წევრებს პოლიტიკური წრეებიც აყვინდ და ვანო, თუ გახსოვთ, სასტუმრო „ივერიაში“ მცხოვრებმა დევინილმა გამოსვლებიც დაიწყო, აფხაზებს რატომ ელაპარაკებითო. ამ ამბებმა შევარდნაძე ცოტა შეაშინა და „დაატორმუზა“, თორემ სოხუმის ე.წ. მთავრობა იმაზეც თანახმა იყო, ოჩამჩირის პორტი ერთობლივად აღგვედგინა ანუ აფხაზებს თავიანთი ბიზნესების განვითარება აინტერესებდათ. საერთოდ, ასეთ რალაცებში სახელმწიფო უნდა ერეოდეს. — შევარდნაძეს რისი შეეშინდა? — პოლიტიკური ლანძღვა-გინების... საერთოდ, არ სიამოვნებდა, როცა მასზე რალაცას ამბობდნენ. სიმართლე გითხრა, ასეთი ლაპარაკი არც მე სიამოვნებს. დაიწყეს, ლეკიშვილს ბიზნესი უნდაო და ვუთხარი, კარგად იყავით-მეთქი, წამოვედი, თორემ ჩიბროვს შინ ვსტუმრობდი და პურ-მარლის მიშლიდა ხოლმე. თოფაქემ ცხინვალში ქარხანაც გახსნა, მაგრამ გინება რომ დაიწყეს, თავი დავანებე, ამის ნერვები ვის ჰქონდა? — ესე იგი, ნიკო ბატონო, თვლიდით, რომ ზემოხსენებული ნაბიჯები კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის აღდგენა შეიძლებოდა? — რა თქმა უნდა, და ყველაფერი რომ გაგრძელებულიყო, შეიძლება, გაერთიანება არ მომხდარიყო, მაგრამ ურთიერთობა იქნებოდა — ხალხი იმორჩავებდა. სხვათა შორის, გალის მოვლენებიც, პრაქტიკულად, ჩვენი პროვოცირებული იყო... — თენგიზ ჯგუშიას მიერ მოწვეობილ დოღს გულისხმობთ? — არ ვიცი, თენგიზ ჯგუშია იყო თუ სხვა, მაგრამ ეს არასწორი ნაბიჯი იყო და არც უთხრა, გაჩერდითო. — სახელმწიფო მინისტრი იყავით და რატომ არ გააჩერეთ? — ვერ გააჩერებდი... ხელი შევარდნაძემაც შეუწყო... — მაშასადამე, ძალა არ გქონდათ? — მთავარი შევარდნაძე იყო... მაგალითად, ფინანსთა მინისტრმა, მიხეილ ჭკუასელმა საგადასახადოს უფროსი ისე დანიშნა, რომ ამის შესახებ გაზეთიდან შევიტყვე. — საგადასახადოს უფროსის მოხსნა-დანიშვნა, წესით,

ფინანსთა მინისტრის პრეროგატივაა და თქვენთან არც უნდა შეთანხმებინა... — კი ბატონო, მაგრამ სახელმწიფო მინისტრი ვიცე-პრემია და ხომ უნდა ეთქვა მაინც?! ასევე, ძალიან გვიან გავიგე, რომ სამტრედიამ, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედიოდა, მოლდოვას ორი ათასი ტონა ხვანჭკარას წარმოების უფლება მისცა, რაც სახელმწიფო დანაშაული იყო. — რატომ? — ბუნებაში ორი ათასი ტონა ხვანჭკარა არ არსებობს ანუ ნებართვა, პრაქტიკულად, ფალსიფიცირებაზე გასცეს. სახელმწიფო მინისტრობიდან რომ გადავდექი, ამ ფაქტზე მაშინაც ვთქვი... — თუკი გულუამ სახელმწიფო დანაშაული ჩაიდინა, პასუხი რატომ არ მოსთხოვეთ? — გადავდექი და მეტი რა მექნა, ან რა პასუხი უნდა მომეთხოვა? — ყველაფერი ეს კორუფციასთან მიდიოდა? — აბა, რა?! — ბატონო ნიკო, მაშინდელ მინისტრებს ხელფასი 280 ლარი გქონდათ ანუ იმის თქმა მინდა, რომ კორუფცია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი... — ხელფასი სულ სხვა საკითხია... 1995 წელს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალი მთავრობა რომ შეიქმნა, ე.წ. „ობეხესი“ უკვე გაუქმებული იყო და უშიშროებას ეკონომიკურ დანაშაულთან კავშირი აღარ ჰქონდა. სხვათა შორის, მაშინ სამინისტროთა დებულებებს პარლამენტი კი არა, პრეზიდენტი ამტკიცებდა, რაც დიდი აბსურდი იყო. როცა უშიშროებამ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურისა და „ოდეერების“ ინსტიტუტის აღდგენა დააპირა, ვიზა არ მივეცი და უშიშროების მაშინდელ მინისტრთან, შოთა კვიციანთან კონფლიქტი მომივიდა. ახლაც მიმჩნია, რომ „ოდეერების“ ინსტიტუტი, რომელიც მაშინ მოიშალა, როცა უშიშროების მინისტრად ირაკლი ბათიაშვილი მოვიდა, დამლუპველია... მოკლედ, ვიზა მე არ მივეცი, მაგრამ კვიციანა შევარდნაძესთან შევიდა და ხელი მოაწერინა... „ოდეერი“ კორუფციის წყარო გახდა. მაგალითად, რკინიგზით ნავთობი ან ხორბალი მოდიოდა, „ოდეერი“ გააჩერებდა და ვიდრე ფულს არ მისცემდნენ, არ უშვებდა. — კვიციანს შევარდნაძეზე ამხელა გავლენა რატომ ჰქონდა?



Table with 6 columns and 18 rows. Contains numbers 1-65 and names of various Georgian authors and literary works. A central image of a rifle is overlaid on the table.



ჩინეთში მხოლოდ ჭკვიანები დაიბადებიან

ჩინელებმა პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც უახლოეს მომავალში მედიკოსებს საშუალებას მისცემს, ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში დაადგინონ ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები, ამ ანალიზის ჩასატარებლად კი ჩვილის დნმ იქნება საჭირო. ახალი მეთოდით ჩინეთი ერის გენოფონდის გაუმჯობესებას ცდილობს. კვლევის საწყის ეტაპზე სწავლულები განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის დნმ-ის კოდს ჩვეულებრივი, არაფრიტამორჩეული ადამიანის გენოტიპს შეადარებენ და სხვაობას შეისწავლიან. ეს მეთოდი მომავალში ემბრიონის ანალიზისთვის დაინერგება, რომელიც ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს მის დაბადებამდე დაადგენს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ანალიზი 60%-იანი სიზუსტის გარანტიას იძლევა და იმედოვნებენ, რომ გენოფონდის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი პროგრამა ქვეყნის დემოგრაფიულ პოლიტიკას შეცვლის.



მიტოვებულმა პატარძალმა იზეიმა

აშშ-ში, ჩრდილოდაკოტაში მცხოვრებმა ქალმა, რომელიც ქორნილის წინ სასიძომ მიატოვა, გადარწმუნდა, საქორწინო ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის დღესასწაულად ექცია. ქორნილის წინა დღეს პატარძალს საქმრომ დაურეკა და განუცხადა, რომ მისი ცოლად შერთვა გადაიფიქრა. მომზადებულ დღესასწაულზე უარისთქმა უკვე გვიანი იყო, ქალს ფულს არავინ დაუბრუნებდა, რადგან „კონტრაქტი კონტრაქტია“. მაშინ ახლობლებთან ერთად გადარწმუნდა, ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის პაციენტები გაეხარებინა. ქორნილის ნაცვლად, პატარძალს მშვენიერი „ფართი“ გამოუვიდა. როგორც თავად აცხადებს, ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იყო შექმნილი მდგომარეობიდან. დღე, რომელიც განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში, ახლა მათთვის იქნება დაუფინყარი, — ამბობს მიტოვებული პატარძალი.


ერთი ნახვით სიყვარული ბრ აბსეპობს

ნოტინჰემის უნივერსიტეტის მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს. ეს მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია, რომლის საფუძველზეც ადამიანებმა რომანტიკული ზღაპარი მოიგონეს. ბრიტანელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ მეხსიერების მიერ გამუდმებით ხდება წარსულში მომხდარი ფაქტების გადაფასება. ყოველი ახალი შეფასება ეფუძნება საგნებისადმი უფრო ჭკვიანურ და გამოცდილ ხედვას, რაც თავის მხრივ, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ხდება. მკვლევარები ამბობენ, რომ თუკი ადამიანი პარტნიორთან პირველ შეხვედრას ერთი ნახვით შეყვარებად აფასებს, ეს მხოლოდ ეიფორიად უნდა მივიჩნიოთ. სინამდვილეში, ადამიანი თავის ამჟამინდელ ურთიერთობას წარსულთან მიმართებაში განიხილავს და ეჩვენება, რომ გრძნობა გაცნობისთანავე გაჩნდა.



ქალიშვილი ჭინაზე ეაცვალეს

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ტრადიცია — ვინც ბინის გადასახადს ნაღდი ფულით ვერ იხდის, შეუძლია, ნატურით დაფაროს. ასე მაგალითად, ლიბანში სირიელი დევნილების ოჯახი იძულებული გახდა, 14 წლის ქალიშვილი ხანოვა 44 წლის სახლის პატრონისთვის მიეთხოვებინათ, რადგან ქირას ვერ იხდიდნენ. აღსანიშნავია, რომ მამაკაცი უკვე დაქორწინებულია, მაგრამ ჩანს, პირადი ცხოვრების გამრავალფეროვნების სურვილი გაუჩნდა და მისი სახლის მოზინადრეებს ამ შეთავაზებაზე გაურიგდა. გოგონასთვის ეს ტრაგედიაა, მაგრამ იძულებულია, ოჯახს დაემორჩილოს — წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუჩაში, კარავში მოგვინევს ცხოვრება, რაც წარმოუდგენელია. მცირეწლოვან ძმას ასთმა აქვს, მამას კი გული ანუხებს, — ამბობს მომავალი ქორწინებით შენუხებული ხანიფა

1. მსხვილფეხა საქონლის სადგომი	2. ლიონზე შესრულებული გრაფიურის ტიპი	3. ლიონის ზედაპირის დაშლა					4. ე. წ. „მლოცვის გაზი“	5. კორიდის ცხენოსანი მონაწილე	6. ადამიანის მისწრაფებათა საბოლოო მიზანი			
7. ერთგვარი ავსტრალიური ხელი	8. კართველ მკვება სახელი	9. მცირე ზომის არია					10. პატარა საზოგადოებრივი ბაღი ქალაქში	11. საფლამი ნერვის ანთება	12. ძალიან დიდი და კამკამა მეტეორი	14. ყირგიზეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი	15. რაიმე საგნის კონტური	
16. გადასახადი სხვისი ბინით სარგებლობისათვის	17. ზევის მამა	18. კინოსუბრათის გადაღების სატეილისტი					21. ლათინო-ამერიკელი რევოლუციონერი	22. წყალში გასასხნული საღებავი	23. სამეფოს გადაბა ბრძოლაში დამარცხებისთვის	27. დიდი ფრინველის ჰერმილი	28. სახელმწიფო აფრიკაში	29. იმპერატორ ნერონის დედა
24. მატერიალური ფიქრების გამოსახვა პერსპექტივაში	25. რუსული როკ-ჯგუფი	26. ესკიმოსთა კაპიუმონიანი ქურთუკი					30. სამხ. აფრიკის რესპუბლიკის დიდი პრეზიდენტი	31. სკანდინავიური ხურდა ფული	37. იმის დემონიური ბერძენული მიტოლოგიაში	38. დიდი რუსი ბალერინა	40. ირლანდიელი ნობელიანტი დრამატურგი	
32. დავით აღმაშენებლის ყოფილი სიმამრის სახელი	33. ტესტამენტო	34. მოცარტის ოპერა „...-ფუანი“	35. ფრანგი კომპოზიტორი	36. იგივე ქალამანი	39. კარპატული მწვემების ჩასაბერი საკრავი	44. ძველბერძენი მოქანდაკე	45. ფრანგი ფერმწერი იმპრესიონისტი	46. წარსულში ცნობილი ფრანგი როგბურთელი				
41. ყვითელი მინერალური საღებავი	42. მოძრაი სხეულის ასტლეტა ზედაპირიდან	43. სომხეთ-თურქეთის „საზიარო“ მთა	47. ისტორიული ოლქი მცირე აზიაში	48. სრული უწყობილობა, არეულ-დარეულობა	49. გარკვეულ გეოგრაფიულ არეში გავრცელებული მცენარე	53. შალაშინის სახეობა	54. ჯაგშიანი რეპტილია	55. უძველესი ქართული მრავალსიმბანი საკრავი	50. მე-18 ს. ინგ. მკობრე და ზღვაოსანი			
51. ადამიანის უთანაბრობის სხეულებს	56. ჩირქოვანი გამონაყარი სახე	61. სიბილიური იაკობის საყვარელი ძე	62. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება	63. პოლიუდის მსახიობი ... მური	64. ასალი ზულანდის მკვიდრი	65. რაჭის წყალსაცავი	66. პარტიზანული ომის სახელწოდება ესპანეთში	67. ცეცხლის ღებობა ინდო-ჩინაში	68. პატარა ყუთი ძვირფასი ნივთების შესანახად			
71. ფრანგ ფიქტურის ვარსკვლავი ... ანრი	75. ქართული კომპოზიტორი	76. რაიმე საერთო საქმეში თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი	77. მინაური ცხოველი	73. კლავიმუზიანი მუსიკალური საკრავი	74. მტნარი წყლის დელფინი	77. ჯუჯა ცხენი	78. ნოტიო და ჩასურებული ფეხი					
79. ქართული ანბანის მეცხრე ასო				80. გერმანიის საფეხბურთო კლუბი	81. ავტომობილი ბავშვის ენაზე	82. ქიქოსის აკლის გული						




წოლის ქორწილშივე გაშორდა

მამაკაცმა საუდის არაბეთიდან დაქორწინება ვერ მოასწრო, რომ უკვე განქორწინება გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ საქორწინო ცერემონიის შემდეგ ფოტოგრაფმა ახალდაქორწინებულებს სამახსოვრო ფოტოებისთვის პოზირება სთხოვა. მას შემდეგ, რაც პატარძალმა ფატა აინია, ქმარი გაოცებული წამოხტა და განაცხადა, რომ ცოლი ისეთი არ იყო, როგორც წარმოედგინა და ამიტომ განქორწინება უნდოდა. ამ მოულოდნელი განცხადების გამო ქალი გულამოსკენილი ატირდა, სტუმრები შექმნილი სიტუაციის დალაგებას შეეცადნენ. მაგრამ სიძე საკმაოდ ჯიუტი აღმოჩნდა და გადაწყვეტილება არ შეცვალა — ადრე არ მქონია საცოლის სახის დანახვის შესაძლებლობაო. ცნობილია, რომ არაბულ ქვეყნებში გავრცელებულია მსგავსი ქორწინება, როცა სიძე-პატარძალი ერთმანეთს პირველად ქორწილის დღეს ხვდება.

ვერსია
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უპკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
 მდიარაჯბუჭი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
 სტილისტი – ნინო ებანოძე
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
 ტელ: 2942399

ISSN 1987-8699


დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიებში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.